

**თიბისი ბანკს მსოფლიოს წამყვანი საფინანსო  
ინსტიტუტების პირველი პირები ეწვევიან**

*პრესრელიზი*

*თბილისი, 28 აპრილი, 2009* – დღეს 14:00 საათზე, თიბისი

ბანკს მსოფლიოს უმსხვილესი საერთაშორისო ინსტიტუტების: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიის (FMO) მაღალი თანამდებობის პირები ეწვევიან.

ქვეყანაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, თიმოთი კრაუსი, პოლ-ჰენრი ფორესტიერი, საბინა ძიურმანი (EBRD) და ელვირა ეურლინგსი (FMO) საქართველოში ჩამოვიდნენ და დღეს, თიბისი ბანკში განხორციელებული ვიზიტით, ბანკის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ. შეხვედრას ასევე დაესწრება თომას ლუბეკი, IFC-ს წარმომადგენელი კავკასიის რეგიონში.

როგორც ცნობილია, 7 აპრილს თიბისი ბანკმა ხელშეკრულება გააფორმა 161 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მოზიდვის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს IFC-ის, EBRD-ის და FMO-ს მიერ თიბისი ბანკში ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციას.

ინვესტიციის ნაწილი უკვე ჩაირიცხა თიბისი ბანკის კაპიტალში, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის ლიკვიდურობა კიდევ უფრო გაიზარდა. მეორე ნაწილი არის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას მოხმარდება.

თიბისი ბანკის აქციებს უკვე ექვსი უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი ფლობს: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი და ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია. ყველა ეს ინსტიტუტი წარმოადგენს მინორიტარულ აქციონერს, ხოლო ბანკის უმსხვილეს აქციონერად კვლავ ქართველ აქციონერთა ჯგუფი რჩება.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba3

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი, ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია და ქართველი კერძო პირები.

**დამატებითი ინფორმაცია:**

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)** საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, რომელიც ეხმარება ხალხს სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ჩვენ ხელს ვუწყოთ განვითარებად ქვეყნებში მდგრად ეკონომიკურ ზრდას კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერის გზით, ასევე კერძო კაპიტალის მობილიზებით, ბიზნესისა და ქვეყნების მთავრობებისათვის საკონსულტაციო და რისკის შემცირებასთან დაკავშირებული პროგრამებით. 2008 ფისკალურ წელს ჩვენს მიერ ახლადგანხორციელებულმა ინვესტიციამ 16,2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რითაც წინა წელთან შედარებით 34%-იანი ზრდა დაფიქსირდა. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: [www.ifc.org](http://www.ifc.org)

**ვეროლის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)** და თიბისი ბანკი პარტნიორები 1996 წლიდან არიან, როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისთვის გამოყოფილი 3 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზით თიბისი ბანკის მიერ დაფინანსებულ იქნა ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა დარგში მოქმედი ათეულობით ქართული საწარმო, დღეს უკვე თიბისი ბანკი სარგებლოს იბიარდის მიერ მოწოდებული 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური რესურსით.

**ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ (FMO)** და სააქციო საზოგადოება “თიბისი ბანკმა” თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო, მას შემდეგ ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ თიბისი ბანკს უკვე 45 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება მისცა. დღეისათვის ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიის მიზანია საინვესტიციო აქტივობების განხორციელებით ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორისა და ეკონომიკური სტაბილურობის განვითარებას.

---

*სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, აშშ-ს მსხვილი ბანკი, ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია და ქართველი კერძო პირები.*